10/01/2022

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქადაგება ქრისტეშობის დღესასწაულზე

ჩვენთან არს ღმერთი!

გილოცავთ ქრისტეშობის დიდ დღესასწაულს. დღეს ცა და ქვეყანა ზეიმობს. დღეს ცა და ქვეყანა გალობს საგალობელს: დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება!

ეს მიგვითითებს იმაზე, რომ უნდა ვადიდოთ უფალი და მშვიდობა იქნება ქვეყანასა ზედა და ადამიანთა შორის სათნოება და სიყვარული.

დიდი განსაცდელი გამოვიარეთ ჩვენ და შეიძლება კიდევ იყოს განსაცდელი, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ უფალი ჩვენთან არის, უფალი გვიფარავს ჩვენ.

არის ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის. კეთილი გაიმარჯვებს.

დალოცვილი იყავით! იხარეთ ორსავ სოფელსა შინა, – სააქაოს და საიქიოს.



patriarchate.ge